

**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №5**

ქ. აბაშა, 2019 წლის 23 მაისი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: შოთა ჭანტურაია, ზაზა გაბელაია, ზურაბ შუბლაძე და ელვარდი ნოდია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბენია პიტავა, კოკი ჩაჩავა და მერაბ მელია.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს: გ.კუპრავა

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება“.

მომხს: გ.კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აზრი გამოთქვეს: შ. ჭანტურაიამ და ზ.გაბელაიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

დადგენილების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს :

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება“.

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება“ .

აზრი გამოთქვეს: გ.კუპრავამ, ზ.შუბლაძემ და შ.ჭანტურაიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება“, გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის
სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა